მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მონაცემები ოჯახური დანაშაულის საქმეებში მათი ჩართულობის შესახებ

მოწმისა და დაზარალებულის ეფექტიანი მხარდაჭერის მიზნით, კოორდინატორი აფასებს დაზარალებულის/მოწმის პირველად საჭიროებებს და აწვდის ინფორმაციას მისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ; ესწრება დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩასატარებელ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს; მისთვის გასაგებ ენაზე აწვდის ინფორმაციას სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობისა და მისი უფლებების შესახებ; ეხმარება დანაშაულის შედეგად გამოწვეულ სტრესთან გამკლავებაში და უზრუნველყოფს მათი ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენციას. კოორდინატორის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, განისაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლითაც დაკვალიფიცირებულ საქმეებში კოორდინატორები პრიორიტეტულად ერთვებიან. მათ შორის ოჯახში ძალადობის და 11[1] მუხლით გათვალისწინებულ ოჯახური დანაშაულის საქმეებში.

2020 წელს კოორდინატორები ჩაერთვნენ 126[1] და 11[1] მუხლებით დაკვალიფიცირებულ 843 სისხლის სამართლის საქმეში. მათ შორის ყველაზე ხშირად ოჯახში ძალადობისა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტებზე. ოჯახური დანაშაულების მსხვერპლებთან და მოწმეებთან კოორდინატორების მხრიდან ყველაზე ხშირად განხორციელებული ქმედებებია: გამოძიებასთან და პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, გამოკითხვა/დაკითხვაზე დასწრება, სასამართლო სხდომების თარიღების შეტყობინება, პროკურორთან შეხვედრის ორგანიზება, გადამისამართება და სერვისის შეთავაზება.


მუხლების სტატისტიკა
126'
704
11'-151
295
11'-381'
31
11'-150
20
11'-151'
17
11'-187
11
11'-126
10
11'-120
8
11'-143
5
11'-137
5
11'-118
5
11'-141
4
11'-115
4
11'-160
3
11'-140
2
11'-117
2